



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010125635162818

24 / მაისი / 2018 წ.
434/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის
სარგებლობაში გაცემის მიზნით N140 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების
შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს "მაგთიკომი"-ს 2018 წლის 7 მარტის N18/03/07-23 წერილისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 14 მაისის N9220/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის (ერთ წლამდე) ვადით განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

ლოტი N1- სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბაკურიანის სატყეო უბნის ბაკურიანის სატყეოს, კვარტალ N9-ის, ლიტერ N19 და N33-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N64.30.03.697) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 და #2 დანართების შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ხაბეიშვილი) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

